



**ს ა მ ტ რ ე დ ი ა**  
**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**განკარგულება N 38 222**



22/12/2015

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთის განვითარების 2016 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთის განვითარების 2016 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთის განვითარების 2016 წლის პროგრამა (დანართი №1).
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთის განვითარების 2016 წლის პროგრამის განხორციელების 6 (ექვსი) თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი და ივნისი) შემოსავლების გეგმა (დანართი №2).
3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთის განვითარების 2016 წლის პროგრამის განხორციელების 6 (ექვსი) თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი და ივნისი) ხარჯების გეგმა, გარდა სახელფასო ფონდისა (დანართი №3).
4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს 2016 წლის 4 (ოთხი) თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი) სახელფასო ფონდი (გეგმა), გარდა ფეხბურთელების ხელფასისა (დანართი №4).
5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთელების 2016 წლის 4 (ოთხი) თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი) სახელფასო ფონდი (გეგმა) და 2016 წლის 3 (სამი) თვის (იანვარი, თებერვალი და მარტი) საპრემიო ფონდი (გეგმა) (დანართი №5).

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთის განვითარების 2016 წლის პროგრამა**

თანამედროვე მსოფლიოში ფეხბურთი და ფეხბურთის ინდუსტრია გლობალური მოვლენაა. ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ათასობით ადამიანის ცხოვრებაში. ფეხბურთი გავლენას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე, ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და ადამიანთა ქცევაზე. ფეხბურთს გააჩნია, როგორც აღმზრდელი და გამაჯანსაღებელი, ისე, სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. იგი ასევე ხელს უწყობს ინტეგრაციული პროცესების განვითარებას.

ფეხბურთი საქართველოში ხალხური გატაცებაა. ქართულ ფეხბურთს ეროვნული ხასიათი აქვს, რაც ტემპერამენტში, არტისტიზმში და კეთილშობილებაში გამოიხატება.

ფეხბურთი საქართველოში სპორტის გამორჩეული სახეობაა. სამტრედია საფეხბურთო ტრადიციების მუნიციპალიტეტია (რაიონია), სადაც ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი აღიზარდა.

**მიზანი:**

–ძირითადი მიზანია საქართველოში, კერძოდ, სამტრედიაში ფეხბურთის პოპულარიზაცია, ჯანსაღი თაობის აღზრდა.

–მკაფიო სტრუქტურა, ფილოსოფია, ნიჭიერი მოთამაშეები, განათლებული და გამოცდილი მწრთვანელები - ყველაფერი ეს იმისათვის, რათა მოვამზადოთ ფეხბურთელები, რომლებიც საფეხბურთო კლუბ „სამტრედია“-სთან ერთად მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

–საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

–ტალანტების მოძებნა, აღმოჩენა და გაზრდა.

–გავზარდოთ ყველა სათამაშო პოზიციისთვის მაღალი დონის ფეხბურთელი: მეკარე, ფლანგის მცველი, ცენტრალური მცველი, ცენტრალური ნახევარმცველი, შემტევი ფლანგის ფორვარდი, ცენტრალური/დრმა თავდამსხმელი.

–მასობრივი ფეხბურთის განვითარება.

**როგორ მივაღწიოთ მიზანს და გავზარდოთ საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“-ს იმიჯი, დონე.**

–სამტრედიის საფეხბურთო კლუბ „სამტრედია“-ში ნებისმიერი პროცესის საფუძველი გახლავთ უმწიკლო ორგანიზაცია. ეს შეეხება ყველაფერს.

–ძლიერი, მაღალი მიზნებისათვის მებრძოლი პირველი გუნდი ( ძირითადი გუნდი).

–გამართული მენეჯმენტი.

–მაღალკვალიფიციური სამწრთვანელო შტაბი, რომლის წევრები აკმაყოფილებენ შემდეგ საჭირო მოთხოვნებს:

–პერსონალის საფეხბურთო განათლება (მოთხოვნის თანახმად შესაბამისი უეფას ლიცენზია), ინტელექტი;

–სამწრთვანელო გამოცდილება;

- განვლილი საფეხბურთო კარიერა;
- პროფესიული და სოციალური მხარე, საქმისადმი დამოკიდებულება, მიდგომა;
- ბავშვთა და მოზარდთა ასაკებში შესაბამისი ლიცენზიის მქონე მწრთვანელები.
- შევექმნათ მაღალი ხარისხის (ელიტური) საფეხბურთო სკოლა, გამართული თანამედროვე სასწავლო და სამწრთვანელო სტრუქტურით.
- დიდი ყურადღება მიექცეს საფეხბურთო სკოლის წარმატებებს.
- სავარჯიშო ინფრასტრუქტურა, ინვენტარი.
- ყურადღება მიექცეს საფეხბურთო სკოლის (ახალგაზრდული გუნდის) თითოეული აღსაზრდელის ყოველმხრივ განვითარებას. ფეხბურთელის აღზრდა ხომ არამარტო მისი საფეხბურთო ტალანტის სრულყოფაა საფეხბურთო მოედანზე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლავთ აგრეთვე მისი დისციპლინის და პიროვნული თვისებების ფორმირება.

საფეხბურთო კლუბმა „სამტრედია“-მ მიიღო 2015–2016 წლების სეზონის უეფას (UEFA) ლიცენზია და ეროვნული ლიცენზია. საფეხბურთო კლუბმა „სამტრედია“-მ, თავისი არსებობის განმავლობაში, პირველად მიიღო უეფას (UEFA) ლიცენზია.

საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“-ს მიერ 2015–2016 წლების სეზონის უეფას (UEFA) ლიცენზიის მიღება ასევე აღსანიშნავია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული „საკლუბო ლიცენზირების დებულებების“ მიხედვით, ლიცენზირების მიზანია ყველა საფეხბურთო ასპექტის სტანდარტის შემდგომი ხელშეწყობა და მუდმივი გაუმჯობესება, აგრეთვე საფეხბურთო კლუბში ახალგაზრდა ფეხბურთელების ვარჯიშისა და მათზე ზრუნვის მუდმივი პრიორიტეტულობა.

საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“-ს უმაღლესი ლიგის გუნდის გარდა ჰყავს 21 წლამდელთა გუნდი, 17 წლამდელთა გუნდი, 15 წლამდელთა გუნდი, 14 წლამდელთა, 13 წლამდელთა გუნდი, 12 წლამდელთა გუნდი, ორი 11 წლამდელთა გუნდი და რვა 10 წლამდელთა გუნდები.

21 წლამდელთა გუნდი მონაწილეობას ღებულობს დუბლების გათამაშებაში, 17 წლამდელთა გუნდი მონაწილეობას ღებულობს ჭაბუკთა ლიგაში, 15 წლამდელთა გუნდი მონაწილეობას ღებულობს ჭაბუკთა ლიგაში, 14 წლამდელთა გუნდი მონაწილეობას ღებულობს იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ მ. მეგრელაძის სახელობის თასზე 13 წლამდელთა გუნდი მონაწილეობას ღებულობს იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ გ. ნოდისას სახელობის თასზე, 12 წლამდელთა გუნდი მონაწილეობას ღებულობს იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ გ. სორდიას სახელობის თასზე, ორი 11 წლამდელთა გუნდი მონაწილეობას ღებულობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში, ორი 10 წლამდელთა გუნდი მონაწილეობას ღებულობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში, ხოლო 10 წლამდელთა გუნდები (8 გუნდი) მონაწილეობას ღებულობს „მომავლის თასის“ რიგით მეორე გათამაშებაში, რომელიც ტარდება სამტრედიაში იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პატრონაჟით.

„მომავლის თასის“ გათამაშებაში, 10 წლამდელთა 8 გუნდიდან, მონაწილეობას ღებულობს 10 წლამდე ასაკის 128 სამტრედიელი ფეხბურთელი.

საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“-ს ასაკობრივი გუნდების ფეხბურთელთა გაწვრთნა და მათი აღნიშნულ შეჯიბრებებში მონაწილეობა ხორციელდება ისე, რომ მათი მშობლების მიერ არ არის გადასახდელი რაიმე სახის მატერიალური საფასური.

საფეხბურთო კლუბი „სამტრედიას“ მიერ ვარჯიშების გრაფიკი და ასევე შეჯიბრებებში მონაწილეობის გრაფიკი შედგენილია ისე, რომ სასკოლო ასაკის ფეხბურთელებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სასკოლო განათლება. სასკოლო ასაკის ფეხბურთელებს აქვთ ხელშეწყობა საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“-საგან, რომ ისინი იყვნენ წარმატებული მოსწავლეები და მათ ხელი არ შეეშალოთ განათლების მიღებაში.

საფეხბურთო კლუბი „სამტრედიას“ მიერ ვარჯიშების გრაფიკი და ასევე შეჯიბრებებში მონაწილეობის გრაფიკი არ იწვევს სასკოლო ასაკის ფეხბურთელების მიერ სკოლის გაცდენას, შესაბამისად, ამით გამოირიცხება მათი გაკვეთილებზე სისტემატური დაუსწრებლობა.

საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“-ს ახალგაზრდა ფეხბურთელებს არ ეშლებათ ხელი გააგრძელონ არასაფეხბურთო სწავლება, როგორც დამატებით სასკოლო განათლების მიღებაში, ასევე პროფესიულ განათლებაში.

საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“ დაინტერესებულია იმით, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები იყვნენ წარმატებული მოსწავლეები და მათ მიიღონ დამატებით სასკოლო განათლება, ასევე პროფესიული განათლება.

ჯანსაღი თაობის აღზრდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მავნე ჩვევების დაძლევის ხელშეწყობა სისტემის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ფეხბურთის, როგორც ბავშვთა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარების მიზანია ფიზიკური აღზრდა, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრებისაკენ მიდრეკილების, ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმისადმი ლტოლვის დაძლევა, ცხოვრების „უძრავი წესის“ ჩანაცვლება ფიზიკურად აქტიური ცხოვრებით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების პროგრამის და მის ფარგლებში ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის განხორციელება შესაძლებლობას მისცემს საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“-ს, რომ უმაღლეს ლიგაში და დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში მოასპარეზე გუნდი დააკომპლექტოს სამტრედიაში აღზრდილი ადგილობრივი (სამტრედიელი) ფეხბურთელებით.

**დანართი №2**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთის განვითარების 2016 წლის პროგრამის განხორციელების 6 (ექვსი) თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი და ივნისი) შემოსავლების გეგმა**

<b>შემოსავლების დასახელება</b>	<b>თანხა</b>
<b>სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან</b>	<b>600000</b>
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>600000</b>

--	--

დანართი №3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთის განვითარების 2016 წლის პროგრამის განხორციელების 6 (ექვსი) თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი და ივნისი) ხარჯების გეგმა

№	კლასიფიკაციის კოდი	ხარჯების დასახელება	თანხის რაოდენობა
1	21	შრომის ანაზღაურება	467879
ა)	21111	თანამდებობრივი სარგო	382024
ბ)	21113	პრემია	85855
2	22	საქონელი და მომსახურება	12500
ა)	2221	მივლინება ქვეყნის შიგნით	12500
3	223	ოფისის ხარჯი	10000
ა)	223121	ელექტრო ენერგია	6000
ბ)	223122	წყლის ხარჯი	1000
გ)	223123	ბუნებრივი აირი	3000
4	225	კვების ხარჯი	76131
5	226	სამედიცინო ხარჯი	9900
6	2281	საწვავ-საპოხი მასალები	6000
	2210	სხვა დანარჩენი საქ. და მომს.	12000
ა)	22108	აუდიტის ხარჯი	12000
	282	სხვადასხვა ხარჯი	5590
		ჯამი:	600000

დანართი №4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს 2016 წლის 4 (ოთხი) თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი) სახელფასო ფონდი (გარდა ფეხბურთელების ხელფასისა)

ადმინისტრაცია					
№	პოზიცია	რაოდენობა	თითოეული სახელფასო	თვის ხელფასი	ჯამი (01.01.2016-

			განაკვეთი		30.04.2016)
1	პრეზიდენტი	1	2845	2845	11380
2	მმართველი დირექტორი	1	2845	2845	11380
3	უსაფრთხოების ოფიცერი	1	171	171	684
4	მედიაოფიცერი	1	217	217	868
5	ფინანსისტი	1	257	257	1028
6	ბუღალტერი	1	712	712	2848
7	მდივანი	1	569	569	2276
8	ლიცენზირების მენეჯერი	1	569	569	2276
9	შესყიდვების მენეჯერი	1	427	427	1708
10	ფოტოგრაფი	1	217	217	868
11	ვიდეოოპერატორი	1	217	217	868
12	ავტობუსის მძღოლი	1	996	996	3984
13	მძღოლი	1	712	712	2848
	ჯამი	13	10754	10754	43016

**სპორტული პერსონალი**

№	პოზიცია	რაოდენობა	თითოეული სახელფასო განაკვეთი	თვის ხელფასი	ჯამი (01.01.2016-30.04.2016)
1	მთავარი მწვრთნელი	1	7113	7113	28452
2	მთავარი მწვრთნელის ასისტენტი	1	4268	4268	17072
3	მთ. გუნდის მეკარეების მწვრთნელი	1	2845	2845	11380
4	ადმინისტრატორი	1	712	712	2848
5	დუბლების მთავარი მწვრთნელი	1	712	712	2848
6	დუბლების მეკარეების მწვრთნელი	1	712	712	2848
7	დუბლ შემადგენ. ადმინისტრატორი	1	717	717	2868
8	ჭაბუკთა მეკარეების მწვრთნელი	1	356	356	1424
9	17 წლამდელთა მწვრთნელი	1	712	712	2848
10	15 წლამდელთა მწვრთნელი	1	712	712	2848

1					2848	
1	14 წლამდეღატა მწვრთნელი	1	712	712	2848	
1	2	13 წლამდეღატა მწვრთნელი	1	712	712	2848
1	3	12 წლამდეღატა მწვრთნელი	1	712	712	2848
1	4	11 წლამდეღატა მწვრთნელი	2	356	712	2848
1	5	10 წლამდეღატა მწვრთნელი	4	356	1424	5696
1	6	ექიმი	1	2134	2134	8536
1	7	ფიზიოთერაპევტი	1	712	712	2848
1	8	დამხმარე ფიზიოთერაპევტი	1	375	375	1500
	ჯამი	<b>22</b>	<b>24928</b>	<b>26352</b>	<b>105408</b>	
	საერთო ჯამი:				<b>148424 ლარი</b>	

დანართი №5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს ფეხბურთელების სახელფასო ფონდი 2016 წლის 4 (ოთხი) თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი) და 2016 წლის 3 (სამი) თვის (იანვარი, თებერვალი და მარტი) საპრემიო ფონდი


№	თანამდებობა	რაოდენობა	ფეხბურთელების 1 თვის სახელფასო განაკვეთი, 01.01.2016–30.04.2015	4 თვის სახელფასო განაკვეთი, 01.01.2016–30.04.2016
1	ფეხბურთელი	23	58400	233600

2015 წლის საპრემიო თანხა თამაშის მოგებაზე ეროვნულ ჩემპიონატში და დავით ყიფიანის თასზე შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის (01.01.2016–31.03.2016).				
№	თანამდებობა	რაოდენობა	საპრემიო ფონდი	
1	მთავარი მწვრთნელი 100%	1	625	<b>625</b>
2	მთავარი მწვრთნელის ასისტენტი 100%	1	625	<b>625</b>

3	მეკარეების მწვრთნელი 70%	1	430	<b>430</b>
4	ექიმი 50%	1	310	<b>310</b>
5	ფეხბურთელი 100%	11	625	<b>6875</b>
5	სათადარიგო ფეხბურთელი 50%	3	310	<b>930</b>
6	სათადარიგო მეკარე 100%	1	625	<b>625</b>
6	შემცვლელი ფეხბურთელი 70%	3	430	<b>1290</b>
7	ადმინისტრაცია 30%	3	185	<b>555</b>
	ჯამი			<b>12265</b>

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია



საკრებულოს თავმჯდომარე